

დამტკიცებულია: სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის №11 სხდომის დადგენილება №4

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის დებულება

1. რეგულირების სფერო

1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის დებულება განსაზღვრავს სასწავლო თეატრის უფლებამოსილებას, საქმიანობის წესს და დასაქმებულთა ფუნქციებს.
2. დებულების მოქმედება ვრცელდება სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრში დასაქმებულ პირებზე.

2. სასწავლო თეატრის საქმიანობა

1. სასწავლო თეატრის საქმიანობას განეკუთვნება:
 - 1.1. უნივერსიტეტის საშემსრულებლო სპეციალობის სტუდენტების განათლების ხელშეწყობა;
 - 1.2. პედაგოგებისა და სტუდენტების უზრუნველყოფა სპექტაკლებზე მუშაობისა და წარმოდგენების გამართვისათვის;
 - 1.3. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მატარებელი პირის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფუნქციის შესრულება.

3. სასწავლო თეატრის სტრუქტურა

1. სასწავლო თეატრის სტრუქტურას წარმოადგენს:
 - 1.1. ხელმძღვანელი;
 - 1.2. ადმინისტრატორი;
 - 1.3. სცენის სამსახურის უფროსი;
 - 1.4. რეკვიზიტორი;
 - 1.5. ხმის ოპერატორი;
 - 1.6. მეგარდირობე;
 - 1.7. სცენის გამნათებელი;

- 1.8. ტექნიკური რეჟისორი;
 - 1.9. მოლარე;
 - 1.10. გრიმიორი
 - 1.11. სცენის მემანქანე
 - 1.12. მკერავი
 - 1.13. დურგალი
 - 1.14. დამლაგებელი
 - 1.15. საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ან/და განსზღვრული ფუნქციის შესასრულებლად მოწვეული სპეციალისტი.
2. სასწავლო თეატრში დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შეჩერება და შეწყვეტა მიეკუთვნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას.

4. სასწავლო თეატრში დასაქმებულთა ფუნქციები

1. სასწავლო თეატრის საქმიანობას წარმართავს ხელმძღვანელი, ხოლო მისი დავალებით ან უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის დავალებით- სასწავლო თეატრში დასაქმებული პირი ან სხვა პირი.
2. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელი უფლებამოსილებაში შედის:
 - 2.1. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების ან/და თანამდებობის პირების წინაშე.
 - 2.2. პედაგოგებისა და სტუდენტების უზრუნველყოფა სპექტაკლებზე მუშაობისა და წარმოდგენების გამართვისათვის;
 - 2.3. სასწავლო თეატრის მოდერნიზაცია და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის ორგანიზება;
3. სასწავლო თეატრის ადმინისტრატორის უფლებამოსილებაში შედის:
 - 3.1. სპექტაკლისათვის პროგრამისა და აფიშის უზრუნველყოფა;
 - 3.2. სპექტაკლზე მყურებლის სწორად განთავსება და დარბაზში წესრიგის კონტროლი;
 - 3.3. სპექტაკლებზე მოსაწვევების განაწილება.
 - 3.4. სპექტაკლის ტექნიკურ რეჟისორთან ერთად სპექტაკლის დროული დაწყება;
 - 3.5. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
4. სცენის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებაში შედის:
 - 4.1. სასწავლო თეატრის სცენის ტექნიკური მართვა;
 - 4.2. სასწავლო თეატრის სცენაზე სპექტაკლების დეკორაციის დროული მონტაჟი და დემონტაჟი;
 - 4.3. სპექტაკლის დეკორაციის დასაწყობება;
 - 4.4. სცენის მემანქანეების ფუნქციების გადანაწილება;

- 4.5. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება.
5. რეკვიზიტორის უფლებამოსილებაში შედის:
 - 5.1. სასწავლო პროცესის და სპექტაკლების რეკვიზიტით უზრუნველყოფა;
 - 5.2. სასწავლო თეატრის რეკვიზიტის ზედამხედველობა/შენახვა;
 - 5.3. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
6. რეკვიზიტორის უფლებამოსილებაში შედის:
 - 6.1. სასწავლო პროცესის და სპექტაკლების რეკვიზიტით უზრუნველყოფა;
 - 6.2. სასწავლო თეატრის რეკვიზიტის ზედამხედველობა/შენახვა;
 - 6.3. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
7. ხმის ოპერატორის უფლებამოსილებაში შედის:
 - 7.1. სასწავლო პროცესის და სპექტაკლების რეკვიზიტით უზრუნველყოფა;
 - 7.2. სასწავლო თეატრის რეკვიზიტის ზედამხედველობა/შენახვა;
 - 7.3. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
8. მეგარდირობის უფლებამოსილებაში შედის:
 - 8.1. სასწავლო პროცესის და სპექტაკლების კოსტიუმებით უზრუნველყოფა; სპექტაკლების კოსტიუმების მოვლა და სასწავლო თეატრის გარდერობში შენახვა;
 - 8.2. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება.
9. გამნათებლის უფლებამოსილებაში შედის:
 - 9.1. სპექტაკლების მხატვრული განათებით;
 - 9.2. სასწავლო თეატრში არსებული განათების აპარატურის გამართულად მუშაობა;
 - 9.3. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
10. ტექნიკური რეჟისორის უფლებამოსილებაში შედის:
 - 10.1. სპექტაკლის ტექნიკურად გამართულად მომზადება;
 - 10.2. სასწავლო თეატრის ადმინისტრატორთან ერთად სპექტაკლის დროული დაწყება;
 - 10.3. სპექტაკლის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობა;
 - 10.4. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება.
11. მოლარის უფლებამოსილებაში შედის:
 - 11.1. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა, დაჯავშნა;
 - 11.2. სპექტაკლიდან შემოსული თანხის უნუვერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხვა;
 - 11.3. სპექტაკლის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა;

- 11.4. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
12. გრიმიორის უფლებამოსილებაში შედის:
 - 12.1. სპექტაკლისათვის სტდენტების და მსახიობების გრიმით უზრუნველყოფა;
 - 12.2. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
13. სცენის მემანქანის უფლებამოსილებაში შედის:
 - 13.1. სასწავლო თეატრის სცენის ტექნიკური მართვა;
 - 13.2. სასწავლო თეატრის სცენაზე სპექტაკლების დეკორაციის დროული მონტაჟი და დემონტაჟი;
 - 13.3. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის და სცენის სამსახურის უფროსის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
14. მკერავის უფლებამოსილებაში შედის:
 - 14.1. სპექტაკლისათვის კოსტიუმების გამოჭრა, შეკერვა;
 - 14.2. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
15. დურგლის უფლებამოსილებაში შედის:
 - 15.1. სპექტაკლის დეკორაციის დამზადება ესკიზის მიხედვით;
 - 15.2. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
16. დამლაგებლის უფლებამოსილებაში შედის:
 - 16.1. უნივერსიტეტში არსებული სასწავლო თეატრისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სისუფთავის კონტროლი;
 - 16.2. სასწავლო თეატრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულება;
17. სპეციალისტებს შორის ფუნქციების განაწილებას ახდენს სასწავლო თეატრის ხელმძღვანელი.

5. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.